პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მარტი, ხუთშაბათი, 1988 წ. № 54 (9721) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სამშობლოს სადიდებლად, სპორტის სასახელოდ

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენებს — ზამთრის XV ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს

**15 მარტს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან — ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ა. ი. ლუკიანოვი.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ვ. გრამოვმა ილაპარაკა კალგარის ოლიმპიური ასპარეზობის შედეგებზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა 57 ქვეყნის დაახლოებით 1800 სპორტსმენი. საბჭოთა დელეგაციაში, რომელშიც 117 სპორტსმენი იყო, იყვნენ 7 მოკავშირე რესპუბლიკის, ქვეყნის 32 ქალაქის წარმომადგენლები. სპორტის 10 სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში გაითამაშეს ოლიმპიურ ჯილდოთა 46 კომპლექტი. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა მიაღწია გამარჯვებას საერთო გუნდურ ჩათვლაში და მოიპოვა 29 მედალი, მათ შორის 11 ოქროს, 9 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. ეს საბჭოთა სპორტსმენების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა ზამთრის ოლიმპიადებზე გამოსვლის ისტორიაში.

ყველაზე წარმატებით კი ჩვენი ოლიმპიელები გამოვიდნენ სათხილამურო სპორტში, ფიგურულ ციგურაობაში, ჰოკეიში, ბიატლონსა და ბობსლეიში. 54 სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ჯილდოები. აღინიშნა, რომ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს სპორტის ზამთრის სახეობაში შემდგომი განვითარებისათვის დიდი რეზერვები აქვთ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე გამოვიდნენ საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრები.

— ამ შეხვედრას, — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ნ. ბესტემიანოვამ, — მივიჩნევთ ჩვენთვის, სპორტსმენებისათვის, ხალხის ჯანმრთელობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთ დადასტურებად. მუდამ ვგრძნობდით ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ადამიანების მხარდაჭერას. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვქომაგობდა და გვისურვებდა გამარჯვებას, ვინც ამზადებდა გუნდს ძნელი გამოცდებისათვის. სასი...

იხ. მე-2 გვ.

# სპორტი და ინტერნაციონალური მეგობრობა

წელს, აგვისტოში სრულდება 60 წელი მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა პირველი, ყველაზე მასობრივი და კომპლექსური სპორტული ღონისძიება — საკავშირო სპარტაკიადა. ეს ასპარეზობა საბჭოთა სპორტის ისტორიაში დარჩა, როგორც ჩვენი ხალხების ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის ზეიმი. სპარტაკიადის სარბიელზე ერთიანი სპორტული დელეგაციით გამოდიოდნენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც. ერთმანეთის მხარდამხარ, ერთიან გუნდში ასპარეზობდნენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, ამ მოძმე რესპუბლიკებში მცხოვრები სხვა ერებისა და ეროვნებების საუკეთესო სპორტსმენები.

სპორტი იმთავითვე თავისთავად იქცა ახალგაზრდობის და არა მარტო ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ეს ტრადიცია ათეული წლებითაა განმტკიცებულ-გაღრმავებული და თაობიდან თაობაში გადადის. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტული მეგობრობა დღესაც გრძელდება და მრავალ ერთობლივ შეჯიბრებაში ვლინდება, მაგრამ სპორტული ღონისძიებები, რომელიც სამივე რესპუბლიკის ერთობლივი გეგმით ტარდება, შეიძლება უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, უფრო მიმზიდველი და საინტერესო გავხადოთ. ალბათ კვლავ უნდა აღდგეს ისეთი კომპლექსური ასპარეზობა, როგორიცაა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრული თამაშები. ეს თამაშები 60-იან წლებში ტარდებოდა. 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი ერთობლივ ტურისტულ შეკრებებს, რომლებიც მორიგეობით ეწყობოდა მოძმე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ტურიზმს, რომელშიც მშრომელები და სტუდენტი-ახალგაზრდობა მონაწილეობდნენ და რომელსაც სპორტსაზოგადოება „სპარტაკი" უძღვებოდა, ახალი სიცოცხლე უნდა შთაბეროს საქართველოს პროფკავშირთა სპორტულმა საზოგადოებამ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მსგავსად, სისტემატური უნდა გავხადოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სტუდენტთა და მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შეხვედრები. სპორტული მეგობრობა უნდა დაამყარონ შრომითმა კოლექტივებმა, ისეთი, როგორიც სულ ახლო წარსულში ჰქონდათ ერთმანეთთან ქუთაისელ, სუმგაითელ და კიროვაკანელ მშრომელებს. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოები თავისუფალ ჭიდაობაში მიმოსვლით ჭაბუკთა შეჯიბრებებსაც ატარებდნენ სამივე რესპუბლიკის გამოჩენილი მწვრთნელების პრიზზე. დიახ, ინტერნაციონალური მეგობრობის ეს კავშირები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და განმტკიცდეს. სამწუხაროდ, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ერთ პროფკავშირულ ორგანიზაციად გაერთიანებით ზოგიერთი ადრინდელი ღონისძიება, რომელშიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, კალენდრიდან ამოვარდა. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს, ვიმეორებთ, უნდა გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს სპორტში ინტერნაციონალური მეგობრობის მრავალწლიანი გამოცდილება და იგი ახალი თაობების აღზრდის სამსახურში სრულად უნდა ჩავაყენოთ.

როგორც ზემოთ ითქვა, წლეულს 60 წელი სრულდება, რაც საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სპორტსმენები ერთ გუნდად გამოვიდნენ პირველი საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე. ასეთი სპარტაკიადა მას შემდეგ აღარ ჩატარებულა. უდავოა, საიუბილეო თარიღი საზეიმოდ აღინიშნება და იგი ჩვენი ხალხების განუყრელი მეგობრობის კიდევ ერთ შთამბეჭდავ დღესასწაულად იქცევა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

II წრე, IV ტური

# ფრე, მაგრამ გამარჯვება შეიძლებოდა

საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი.

„დინამო" (თბილისი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) 7:7 (2:1, 1:2, 2:2, 2:2).

„დინამო": მიხეილ გიორგაძე, ზუმბულიძე, ბალათურია, გვახარია, ბითაძე, კანდელაკი, მაჭავარიანი; მათ გარდა თამაშობდნენ: მიხეილ გიორგაძე-II, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი.

„უნივერსიტეტი": შარაფეევი, შერენკოვი, იანკოვი, ჩეკუნოვი, მოროზოვი, როსლიაკოვი, ნაუმოვი; მათ გარდა თამაშობდნენ: პავლოვი, ნუგზარ მშვენიერაძე, ზაიონცი, სანკოვი, კურბატოვი.

ბოლო წლებში ეს გუნდები საკავშირო ჩემპიონატებში საკმაოდ განსხვავებულ ადგილებს იკავებენ. მოსკოველებს თუ ჩვეულებრივ საპრიზო ადგილებზე ვხედავთ, თბილისელები სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან. მიუხედავად ამისა, მათი შეხვედრები, ჩვეულებრივ, მეტად დაძაბულად და საინტერესოდ ტარდება. მათ შორის გამარჯვებულის გამოცნობა საფინალო სასტვენამდე თითქმის შეუძლებელია.

იხ. მე-4 გვ.



თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „უნივერსიტეტის" გუნდების შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# „ლელოს" საკონსულტაციო პუნქტი გთავაზობთ

**ამ** დღეებში ბევრი ცნობები მივიღეთ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, სადაც უკვე ჩაატარეს პირველი საგაზაფხულო შეჯიბრებები, გავიდნენ ტურისტულ ბილიკებზე. ზოგიერთი მასალა ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ. ამ შაბათს და კვირას თბილისში კვლავ გაგრძელდება მეგობრული თამაშები, რომელშიც მონაწილეობენ სპორტული კლუბების და მსხვილი ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები. გუშინ ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა თ. ხარაბაძემ ქუთაისიდან დაგვირეკა და გვაცნობა, რომ 20 მარტს ქალაქში ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელიც ერთგვარი რეპეტიცია იქნება 3 აპრილისათვის, როცა სპორტულ მოედნებზე და ტურისტულ ბილიკებზე გამოვა მთელი რესპუბლიკა. ამ კვირას კი ქუთაისელებს თავიანთ სპორტულ ბაზებზე იწვევენ ავტომშენებლები, ლითოფონის და ელექტრომექანიკურ ქარხნების კოლექტივები. გრძელდება მეზობელთა გუნდების შეჯიბრებები. თავიანთ სპორტულ ბაზებს, როგორც ყოველთვის, ამ შაბათს და კვირასაც უსასყიდლოდ უთმობენ მოსახლეობას თბილისის, სოხუმის, რუსთავის, ბათუმის სპორტული ორგანიზაციები. თუ თბილი და დარიანი დღეები დადგება, ცხადია, არც მძლეოსნური გარბენები უნდა დავივიწყოთ. ტურიზმის თავგამოდებულ მოყვარულებს კი ამინდი, მოგეხსენებათ არ აშინებთ.

დაბოლოს შეგახსენებთ, რომ გრძელდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი ღონისძიებების ერთიანი კალენდრით გათვალისწინებული შეჯიბრებები წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდებისათვის, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების მოსწავლეთა პირველი ეტაპის შეხვედრები ფეხბურთში.

ეწვიეთ სპორტულ ბაზებს!



**ს უ რ ა თ ზ ე:** ფეხბურთის გულშემატკივართა გუნდების პირველ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის მფლობელი თბილისის „ვერა" (იხ. მე-3 გვ.).

## ელვა-ინფორმაცია

როგორც ვიუწყებოდით, ახლახან გდრ-ში გამართულ ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც 20 წლამდე ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა კახაბერ კახიაშვილმა. ამის შემდეგ ჩვენი ძალოსანი პირდაპირ სსრ კავშირის ჩემპიონატში ჩაება და აი, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა, რომელიც გუშინ საღამოს მივიღეთ პერვოურალსკიდან — კახაბერ კახიაშვილი სსრ კავშირის ჩემპიონია! ამ წარმატებით ქართველმა ძალოსანმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ვულოცავთ!

## მინსკის „დინამო" გამოეთიშა გათამაშებას

**გუშინ** გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი მინსკის „დინამოსა" და ბელგიის „მეხელენს" შორის.

პირველი შეხვედრა ბელგიელ ფეხბურთელებს თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0. საპასუხო მატჩში მინსკის დინამოელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ითამაშეს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამრიგად, თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ბელგიის „მეხელენმა".

# სამშობლოს სადიდებლად, სპორტის სასახელოდ

(დასასრული)

მოვნოა შეიგნო, რომ ჩვენ ეს გამოცდები ღირსეულად ჩავაბარეთ. მინდოდა მეთქვა ზოგიერთ ჩვენს პრობლემაზეც., დღეს ყინულის არენებზე ჩვენ ჰოკეისტებთან ერთად ვიწროდ ვართ. დადგა დრო, დაისვას საკითხი სპორტის სასახლეებთან სპეციალიზებული საციგურაოების მიშენების შესახებ, თორემ ათასობით ბიჭუნასა და გოგონას, რომლებიც ოცნებობდნენ გახდნენ ჩემპიონები, ყინული არ ჰყოფნის.

ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონის რიგელი ი. კიპურსის გამოსვლაში აღინიშნა მზარდი კონკურენცია ოლიმპიელთა არა მარტო სპორტულ მომზადებაში, არამედ ტექნიკურ აღჭურვაშიც. დღეს შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც სპორტსმენების, მწვრთნელების შემოქმედებით თანამეგობრობაზე მუშებთან, ინჟინრებთან, მეცნიერების წარმომადგენლებთან. მჭიდრო თანამშრომლობას ადასტურებს სიგულდის ცნობილი ბობსლეის ტრასაც, ჩვენი გამარჯვებებით ოლიმპიურ ტრასებზე, თქვა მან, მოხარული ვიყავით აგვემაღლებინა საბჭოთა ადამიანების განწყობილება, გაგვემტკიცებინა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ავტორიტეტი, საბჭოთა სპორტის პრესტიჟი.

სამი ოლიმპიური მედლის მფლობელმა ვ. სმირნოვმა (ყაზახეთი) ილაპარაკა იმ უდიდეს შრომაზე, რომელიც გასწიეს მოთხილამურეებმა ოლიმპიადისათვის მზადების დროს. ისინი ყოველდღიურად დაახლოებით 100 კილომეტრს გადიოდნენ, ისახავდნენ მაღალ მიზნებს და მიაღწიეს კიდეც მათ. დღეს უნდა ვიფიქროთ მომავალზე, თქვა მოთხილამურეთა გუნდის კომორგმა. ბუნებრივი პირობებით ჩრდილოეთ ყაზახეთი არ ჩამოუვარდება ზამთრის სპორტის მსოფლიო ცენტრებს. აქ შეიძლება გვქონდეს სათხილამურო სპორტისათვის ისეთივე პირველი კლასის ნაგებობები, როგორიც არის სახელგანთქმული მედეო ალმა-ათის მახლობლად.

— ღრმად სიმბოლურია, — თქვა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კაპიტანმა ვ. ფეტისოვმა, — რომ ჩვენი ოლიმპიელები წარმოადგენდნენ ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახს. მხოლოდ ასეთ დარაზმულ, ძლიერ კოლექტივს შეეძლო გამარჯვება კალგარში. ჯერ კიდევ ოლიმპიური სტარტების წინ ცოტა ვინმეს, მათ შორის ზოგიერთ ჟურნალისტს, თუ სჯეროდა საბჭოთა ჰოკეისტთა წარმატებისა. და მართლაც, უკანასკნელ ხანს ჩვენს გუნდს თან სდევდა წარუმატებლობები. მაგრამ ჩვენ ვთქვით: „ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის, მხოლოდ გამარჯვებისათვის"! და მივაღწიეთ კიდეც მას.

სსრ კავშირის სათხილამურო რბოლაში ნაკრები გუნდის სახელმწიფო მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ივანოვმა თქვა, რომ ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობათა აქტიური განვითარების, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების ყველა შესაძლებლობაა. ამისათვის სერიოზულად უნდა განვამტკიცოთ მატერიალური ბაზა, გავზარდოთ საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოება, მეტი ყურადღება დავუთმოთ ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სკოლებს, უფრო ენერგიულად გავუწიოთ პროპაგანდა სათხილამურო სპორტს.

შეხვედრაზე გამოსულმა ესტრადის მსახიობმა გ. ხაზანოვმა, რომელიც საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო კალგარში, დამსწრეთ უამბო თავის შთაბეჭდილებებზე, იმ თავდადებაზე, რომელიც გამოიჩინეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, სხვა სპეციალისტებმა. მთელი დღეების მანძილზე საბჭოთა გუნდში გამეფებული იყო ამხანაგობის, ურთიერთდახმარების, ერთმანეთის პატივისცემისა და ყურადღების — ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმის ატმოსფერო.

შეხვედრაზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ზოგიერთი საშუალების მისამართით, რომლებიც ამ უდიდესი ასპარეზობის მომზადებისა და გამართვის გაშუქებისათვის დიდ მუშაობასთან ერთად უშვებდნენ სუბიექტივიზმს, თავს გვახვევდნენ დაუსაბუთებელ აზრებს.

მიმართა რა საბჭოთა ოლიმპიელებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით კალგარის ზამთრის მე-15 ოლიმპიურ ასპარეზობაზე ბრწყინვალე გამოსვლისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ცვლილებების, გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელების ამ ეტაპზე, აღნიშნა მან, კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის და სპორტის დანერგვას. თქვენი მიღწევები სპორტში, თქვენი ცხოვრების წესი განავითარებს და განამტკიცებს საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებს, აქტიურად უწყობს ხელს საზოგადოებაში ჯანსაღი ყოფის დამკვიდრებას.

საბჭოთა სპორტსმენებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ზამთრის ოლიმპიადაზე, ღირსეულად ატარეს ჩვენი სამშობლოს დროშა, თავი გამოიჩინეს საბჭოთა ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებად და მოქალაქეებად. დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ აგრეთვე მწვრთნელებს, ყველა სხვა სპეციალისტს, რომლებმაც გამარჯვებამდე მიიყვანეს საბჭოთა გუნდი. შთამბეჭდავი გამოსვლებით, ქცევით თქვენ მოიპოვეთ კანადის მოქალაქეთა პატივისცემა და კეთილმოსურნე დამოკიდებულება. ამრიგად, თქვენ თითქოს კიდევ ერთხელ დაადასტურეთ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული ხასიათი. გვწამს, რომ ყოველთვის სამაგალითო იქნებით ჩვენი ახალგაზრდობისათვის შრომაში, სწავლასა და სპორტში.

გარდაქმნის პოლიტიკა, თქვა ი. კ. ლიგაჩოვმა, მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს, მათ შორის კულტურასაც. ბევრი რამ უნდა გარდაიქმნას ქვეყნის ფიზკულტურულ მოძრაობაშიც. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ბიუროკრატიული სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში. დადგა დრო ავამოქმედოთ აქ ფართო დემოკრატიის მექანიზმი, უფრო სრულად ჩავაბათ თვით ფიზკულტურელები და სპორტსმენები ფიზკულტურისა და სპორტის მართვაში ყველა დონეზე. აქ საჭიროა ახალი სტილი — ნამდვილად დემოკრატიული, საქმიანი.

დიდი მუშაობა გველის სპორტული ბაზის განმტკიცებისათვის, მათ შორის სასწავლებლებში, ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის. ყოველივე ამაზე ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე, რომელმაც განიხილა უმაღლესი და საშუალო სკოლის რეფორმის მიმდინარეობა, გარდაქმნის პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანები. არის სხვა პრობლემებიც სპორტში, ფიზკულტურულ მოძრაობაში. ხშირად გვაკლია თვითკრიტიკული შეფასება, ხშირია თვალის ახვევის, წამატებების, ჯგუფურობის, უზნეო ქცევის ფაქტები. ყოველივე ეს გადაჭრით უნდა მოვიშოროთ თავიდან. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან წამყვანმა სპორტსმენებმა, კომკავშირმა და პროფკავშირებმა, სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოებმა. ბევრს აკეთებენ, მაგრამ მეტი რამის გაკეთება შეუძლიათ პრესას, ტელევიზიასა და რადიოს. სპორტში საქმის ვითარების კრიტიკული ანალიზის განვითარებისას უნდა გამოვიჩინოთ კეთილმოსურნეობა იმათ მიმართ, ვინც მუშაობს ნოვატორულად, ავრცელებს ფიზკულტურას მასებში, ამზადებს სპორტსმენებს, უნდა დავაფასოთ მწვრთნელის ძნელი შრომა.

წინ ზაფხულის ოლიმპიადაა, თქვა დასასრულს ი. კ. ლიგაჩოვმა. ზამთრის ასპარეზობის წარმატებული დამთავრებით თქვენ თითქოს გადასცემთ ესტაფეტას საბჭოთა სპორტსმენებს — ზაფხულის ოლიმპიადის მონაწილეებს. დაე, თქვენი შესანიშნავი მაგალითი შთააგონებდეს მათ და დაეხმაროს წარმატებით გამოსვლაში.

შეხვედრამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჩაიარა საქმიან და გულითად ვითარებაში. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. მურახოვსკი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).



## ბალავერი

თელავის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის ნაგებობა ნორჩ სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებას ემსახურება. აქ განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს ძიუდოისტთა ჯგუფები, რომლებშიც 200-მდე მოზარდია გაერთიანებული. ნორჩების ამ დიდ დაინტერესებას დაუღალავი შრომით მიაღწიეს მწვრთნელებმა სოსო კევლიშვილმა (უფროსი მწვრთნელი), გოჩა ჯელიძემ, გივი ბაბილაშვილმა, ავთანდილ გავაშელიძემ და ზურაბ ხმიადაშვილმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.
„ლელოს" სპეც. კორ.







### სპორტის გამოყენებითი სახეობები

## „ხანძარი" ...სტადიონზე

თითქმის „სახანძრო" სიტუაცია იყო სოხუმის რესპუბლიკურ სტადიონზე. ამ დღისათვის აქ საგანგებოდ სასწავლო კოშკიც აღმართეს. ექვსი ნაკრები — აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის — ეჯიბრებოდა ერთმანეთს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველობას (შეჯიბრების მთავარი მსაჯი — სპორტის ოსტატი რ. სიხარულიძე). სტარტზე 50 მეხანძრე სპორტსმენი გამოვიდა.

საიერიშო კიბით კოშკურის მეოთხე სართულზე, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ავიდა საქართველოს რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი ვ. რუსეიშვილი. მეორე ადგილზეა ჯ. გაგლოევი (რუსთავი), მესამეზე — მ. ცინცაძე (ბათუმი).

გასაშლელი კიბით ასპარეზობაში ბადალი არ ჰყავდა ბათუმელთა წყვილს თ. ბოლქვაძეს და მ. ცინცაძეს. მეორე ადგილზე არიან რუსთაველები ს. ვარშანიძე და მ. გალოგრე, მესამეზე — ქუთაისლები ზ. ბოცვაძე და ე. პეტროსიანი.

ყველაზე საინტერესო, როგორც მუდამ, ამჯერადაც 100 მეტრზე გადალახვათა ზოლი იყო. ამ სახეობაში ფოთელმა ზ. შეროზიამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზეა მ. გალოგრე, მესამეზე — ფოთელი ს. ბაირამიდი.

ორჭიდში პირველი სამეული ასე განაწილდა: ზ. შეროზია, მ. გალოგრე, მ. ცინცაძე.

ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა სოხუმელმა ა. მანჯავიძემ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუსთაველებმა, მეორე ადგილზეა თბილისის, მესამეზე — აფხაზეთის კოლექტივი.

ამჟამად რესპუბლიკის საუკეთესო მეხანძრე სპორტსმენები ემზადებიან ტრადიციული შეჯიბრებისათვის ბონდო შანიძის პრიზზე, რომელიც აპრილში გაიმართება თბილისში.

არტემ მალაიანცი.

### საქართველოს პირველობა ბატუტზე ხტომაში

## სოხუმელი გოგონას წარმატება

ჭარბა ხანია ბატუტისტთა შეჯიბრებაში ასაკობრივმა დაყოფამ ფორმალური სახე მიიღო. გამონაკლისს არც საქართველოს პირველობა წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეჯიბრებაში მხოლოდ 1970 წლამდე დაბადებულ სპორტსმენებს შეეძლოთ მონაწილეობა, ასპარეზობაში ფაქტიურად ჩვენი ყველა უძლიერესი ბატუტზე მხტომელი გამოდიოდა. ეგ არის, რომ ავადმყოფობის გამო სარბიელზე კვლავ ვერ ვიხილეთ ვაჟთა შორის ლიდერი მიხეილ პელივანიდისი, ხოლო რუსუდან ხოფერია ტაშკენტში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ემზადებოდა.

წინასწარ ვარაუდით ინდივიდუალურ ხტომებში გამარჯვებისათვის საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს ზაზა აბრამიშვილსა და არამ სააკიანს უნდა ებრძოლათ, მაგრამ ამჯერად ზაზას სერიოზული შეცდომები მოუვიდა და ხუთეულშიც ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, მთელი ძალით იასპარეზა სააკიანმა, 145,7 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა ზაზა ხიზანიშვილი (144,5), მესამეზე — გიორგი გაგუა (131,6).

სინქრონულ ხტომებში თბილისელმა სპორტსმენებმა კვარცხლბეკის ყველა საფეხური ასეთი მიმდევრობით დაიკავეს: ზურაბ ბიჩენოვი — დავით კანდელაკი (30,5 ქულა), კახა ქვლივიძე — რემიკ პოღოსიანი (27,3), რევაზ ხარატიშვილი — გიორგი გაგუა (16,9).

გოგონათა შორის ინდივიდუალურ გამოსვლებში ტრადიციული „დუელი" საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს ანა დოლონაძესა და ლია ბენდიანიშვილს შორის გაიმართა. მათ ყველა ეტაპი ერთნაირად განვლეს. პირველი ადგილის ბედი კი ერთ-ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. ბენდიანიშვილმა ერთი და იგივე ელემენტი ორჯერ გაიმეორა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ანა დოლონაძე — 154,3 ქულა, ლია ბენდიანიშვილი —151,4, ინა წიკლაური — 141.

აღსანიშნავია, რომ პერიფერიის წარმომადგენლებიდან (სინქრონულ ხტომებში) საპრიზო ადგილი მხოლოდ ქუთაისელმა ლელა გოგინეიშვილმა და ეკა ბერაძემ მოიპოვეს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელების ვარაუდით ლელა გოგინეიშვილს ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობის დიდი შანსი აქვს. გოგონამ საგრძნობლად აიმაღლა საშემსრულებლო კლასი, სტაბილური გახდა. კომბინაციაში წინ ორმაგ მალაყს ერთნახევარი პირუეტით აკეთებს. მისმა მწვრთნელმა ვალერი ჩხაბერიძემ გვითხრა, რომ ლელამ ცალკე სამმაგი მალაყიც დაისწავლა. მწვრთნელის მთავარი მიზანი ახლა ისაა, რომ იგივე ელემენტი კომბინაციაში შეასრულოს.

ქუთაისელებზე საუბარი გვინდა მერაბ სუპატაშვილით დავამთავროთ. ეს პერსპექტიული ბატუტისტი ჩვენს თვალწინ გაიზარდა და დაოსტატდა. ვფიქრობთ, თუ იგი კვლავ სერიოზულად ივარჯიშებს, წარმატება ცხრა მთას იქით აღარ იქნება.

ახლა რამდენიმე სიტყვა სინქრონულ ხტომებში გამარჯვებულებზე. ბოლო სამი წელია პროგრამის ამ სახეობაში ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი მონოპოლიური უფლებებით სარგებლობენ. თბილისელი ბატუტისტები, როგორც წესი, შეჯიბრებას უეჭველად და თანაც დიდი უპირატესობით იგებენ. რა თქმა უნდა, მათ „ტრადიციას" არც ამჯერად უღალატეს და მეორე ადგილზე გასულ თანაგუნდელ თამუნა სუხიაშვილსა და ირინა მიხაილოვას 10 ქულაზე მეტი უპირატესობით მოუგეს.

ეს შეჯიბრება იმითაც დაგვამახსოვრდა, რომ სოხუმელი მწვრთნელის ნიკოლოზ პაგონიას შვილმა ანამ უმცროსი ასაკის გოგონებში საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. ადრე ამ მწვრთნელის აღზრდილები საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ, იმედია, აფხაზეთის წარმომადგენლები მომავალში კვლავ გამოიჩენენ თავს.

ჯემალ კახაძე.

# განახლებული შემადგენლობით

## ლანჩხუთის „გურია" ემზადება ახალი სეზონისთვის

**ჩვენი** ქვეყნის I ლიგის ფეხბურთელთა გუნდები 1988 წლის საკავშირო გათამაშებისთვის ემზადებიან. ამ ლიგაში, როგორც ცნობილია, მონაწილეობს საქართველოს ორი გუნდი: ლანჩხუთის „გურია" და ბათუმის „დინამო".

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი **ავთანდილ ორმოცაძე** ლესელიძეში შეხვდა ლანჩხუთის „გურიის" ხელმძღვანელობას, სადაც ეს გუნდი ახალი სეზონის წინ ვარჯიშობს. კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა „გურიის" უფროს მწვრთნელს **მიხეილ ფომენკოს**.



● **რა ცვლილებებია „გურიაში"?**

— გუნდი შარშან უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა, უფერულად მას არ უთამაშია, მაგრამ ძნელი კონკურენციის პირობებში მაინც მოგვიხდა უძლიერესთა რიგების დატოვება. „გურიის" შემადგენლობიდან წავიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები კოპალეიშვილი, ჩხაიძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, კონდრატიევი, მახარაძე, ჯიშკარიანი, ძმები კაპანაძეები, რომანჩუკი, ვარნავსკი, მეგრელაძე, ტყებუჩავა, იმნაძე, გუნდი დატოვა მწვრთნელმა ბ. სიხარულიძემაც. „გურიაში" მწვრთნელად მივიწვიეთ გუნდის ყოფილი ფეხბურთელი გურამ შავდია, აგრეთვე, ფეხბურთელები ანდღულაძე, ჟორდანია, კაკილაშვილი, გაბისაშვილი, გოგრიჭიანი, კვასნიკოვი, იავორსკი. მათთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადებიან ბონდარუკი, ცომაია, დანელია, გოგიჩაიშვილი, აკოფიანი, ფრიდონაშვილი, ცაავა, ქანთარია, ნარიაშვილი, ძნელაძე, იმნაძე და სხვანი.

● **როდის დაიწყო „გურიის" მოსამზადებელი პერიოდი?**

— მზადების პირველი ეტაპი გრიგოლეთის სპორტულ ბაზაზე გრძელდა 11 იანვრამდე, შემდგომ ეტაპებზე ვვარჯიშობთ ალახაძის სპორტულ ბაზაზე, მარტის დასასრულს შინ დავბრუნდებით და წვრთნას საკუთარ ბაზაზე გავაგრძელებთ.

● **რა გეგმები გაქვთ დასახული ახალი სეზონისთვის?**

— უმთავრესი მიზანი, რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა, მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქმეა, უმაღლეს ლიგაში გადასვლის პრეტენზიები აქვთ ცსკა-ს, ტაშკენტის „ფახთაქორს", ლვოვის ასკ „კარპატის", რიგის „დაუგავას" და სხვებს. კონკურენცია, მოგეხსენებათ, მძაფრი იქნება.

ჩვენი ფეხბურთელები ენერგიულად ემზადებიან ახალი სეზონისთვის, კოლექტივში ჯანსაღი ატმოსფერო სუფევს, ძველ ფეხბურთელებსა და ახალგაზრდებს შორის კარგი ურთიერთდამოკიდებულებაა, გუნდის მთელი შემადგენლობა ძალებს არ იზოგავს გათამაშების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

„გურიამ" საკონტროლო შეხვედრები გამართა მოსკოვის „დინამოსთან" (1:2, გოლი გაიტანა ხლუსმა), ვოლგოგრადის „როტორთან" (3:1, ბურთები გაიტანეს კაკილაშვილმა და ცაავამ), ერევნის „არარატთან" (1:0, იავორსკი), ლვოვის ასკ „კარპატისთან" (0:1), დონის როსტოვის „როსტსელმაშთან" (4:0, გოგრიჭიანი, ჟორდანია, აკოფიანი-2), ოდესის „ჩერნომორეცთან" (1:2, აკოფიანი).

● **რა პრობლემები გაქვთ?**

— პრობლემები საფეხბურთო გუნდში ყოველთვისაა. ახლა ჩვენ გვჭირდება რამდენიმე მაღალკვალიფიციური ფეხბურთელი, გაათკეცებული მუშაობა გვმართებს ახალწვეულებთან. ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის ნორჩი აღსაზრდელები ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ გაზრდილ მოთხოვნებს, რაიონში არ გვყოფნის სათამაშო მინდვრები, გამონაკლისია მხოლოდ ნიგოითის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ყოველგვარ ამინდში შეიძლება ნორმალური ვარჯიშის ჩატარება, თუმცა, ზოგიერთი აუცილებელი რამ აქაც მოსაწყობია. ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან აღვნიშნავ ლორიას, წილოსანს, ფირცხალაიშვილს. ჩვენი გუნდის კარი მუდამ ღიაა ყველა ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელისთვის, მათთან გაძლიერებული მუშაობა უნდა ჩავატაროთ. ზოგიერთი პერსპექტიული ფეხბურთელი მივავლინეთ ლანჩხუთის „ჩიბათში", რომელიც საქართველოს პირველობაზე გამოდის მეორე ჯგუფში. აქ მათ უნდა აიმაღლონ სპორტული ოსტატობა. მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა პრესაში გამოქვეყნებული „ვაი-გულშემატკივრის" წერილის თაობაზე, თითქოსდა ლანჩხუთის „გურია" დაჩაგრული იყოს. არ შეიძლება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონების გუნდების ასეთი დაპირისპირება, ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ღირსეული ცვლა აღვუზარდოთ ქართული ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს". ამ გუნდს საგანგებო ხელშეწყობა სჭირდება, გახარებული ვართ დინამოელთა პირველი ორი გამარჯვებით.

• • •

12 მარტს ლესელიძეში I ლიგის თასზე ლანჩხუთის „გურია" შეხვდა ცსკა-ს. ლანჩხუთელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი, ისინი უპირატესობასაც ფლობდნენ, ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ აკოფიანს, გოგრიჭიანს, ცაავას, დანელიას. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„გურია"** — ქანთარია, ბონდარუკი, ცომაია, დანელია, ანდღულაძე, კაკილაშვილი, ჟორდანია, ცაავა (გოგიჩაიშვილი), აკოფიანი, ფრიდონაშვილი, გოგრიჭიანი; **ცსკა** — შიშკინი, კუზნეცოვი, გალიამინი, აფანასიევი, მოხი, მალიუკოვი, ბისტროვი, ბროშინი, ზინჩინი (მასალიტინი), ტატარჩუკი (ლევინი). გლუშაკოვი. მსაჯი ე. კანანა (დონეცკი).

# მინიფეხბურთს უნდა მოერგო

**თბილისში** დაბრუნდნენ „ვერის" ფეხბურთელები, რომლებმაც ამ დღეებში მოსკოვში ბრწყინვალედ დაიცვეს მშობლიური ქალაქისა და უბნის ღირსება — უაღრესად დაძაბულ და ურთულეს ორთაბრძოლებში გაიმარჯვეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე, რომლისათვის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების 24 უძლიერესი გუნდი იბრძოდა. გუშინ რედაქციაში გვეწვია გამარჯვებული გუნდის კაპიტანი **ზაზა გომართელი**, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა.

— ტურნირს, თუმცა გულშემატკივართა სახელი ჰქონდა, — თქვა კაპიტანმა, — მაგრამ ზოგიერთი ქალაქის მესვეურნი, მაგალითად ჩელიაბინსკისა, არ მოერიდნენ და მოსკოვში სსრ კავშირის ერთ-ერთი ლიგის გუნდი გაგზავნეს. დიახ, „ჩელიაბინეცზე" მოგახსენებთ. მას მხოლოდ სახელი შეუცვალეს, თორემ ის იგივე „ტრაქტორი" გახლავთ, რომელსაც ახლო წარსულში ცნობილი სპარტაკელი ფეხბურთელი ევგენი ლოვჩევი უდგას სათავეში მწვრთნელად.

● **როგორი განწყობილებით მიემგზავრებოდა „ვერა" საასპარეზოდ?**

— შეგხვედრიათ სპორტსმენი, რომელიც მაჩანჩალის როლზე ოცნებობდეს? ვერელები ყოველთვის ვანებივრებდით თაყვანისმცემლებს და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ახლაც მხოლოდ გამარჯვების რწმენით მივემგზავრებოდით. დიახ, ისევე როგორც ბრაზილიელ ტორსიდებს პირველობის გარდა თავიანთი გუნდის სხვა ადგილი კრახად მიაჩნიათ, ჩვენგანაც მხოლოდ ოქროს მედლებს ითხოვდნენ ქომაგები.



ჩვენთვის უჩვეულო პირობებში ჩაატარეს პირველი შეხვედრები „ვერის" მოთამაშეებმა.

● **ასეთ რწმენას მარტო მოპოვებული გამარჯვებების სიამაყე გინერგავდათ, თუ სხვა რამითაც იყო იგი „გამაგრებული".**

— თითოეულ ჩვენთაგანს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ წარსულ დიდებას ცუდი სამსახურის გაწევაც შეეძლო. ისიც ვიცოდით, რომ მოსკოვში ძნელი ორთაბრძოლები გველოდა და თითოეული ჩვენთაგანი ერთი შეგონებით — ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის! — ვიყავით.

● **თვით ტურნირმა როგორ ჩაიარა?**

— ნუ იტყვით, — პირველსავე დღეს ჩვენს ენთუზიაზმს „ცივი წყალი" გადაესხა. რადგან იმ პირობებს, როგორიც ასპარეზობაზე დაგვხვდა, საერთო არაფერი ჰქონდა ჩვეულებრივ მინიფეხბურთთან, რომელსაც ჩვენ ვიყავით მიჩვეულნი. როგორც მასპინძლებმა აგვიხსნეს, ეს იყო „ფეხბურთი თოვლზე", რომელსაც ჰოკეის მოედანზე („კოლოფში") თამაშობენ. ეს კი ნიშნავს, რომ თამაშის წესებით არავითარი „კორნერი" და „აუტი" არ არსებობს, ბრძოლა კარს უკანაც გრძელდება, „კოლოფის" კედლიდან ასხლეტილი ბურთი თამაშშია, რაც ფეხბურთელისაგან ნიადაგ მოძრაობას მოითხოვს. ასეთ დატვირთვას კი მიჩვეულნი არ ვიყავით. ამას ისიც ემატებოდა, რომ ყინულზე კედებით თავის შემაგრება ძალიან გვიძნელდებოდა, რაც კიდევ ერთი ფორა იყო მეტოქეებისათვის, რომლებიც ბუცებით თამაშობდნენ.

● **სირთულეები ახსენით, მაშ, რამ განაპირობა ის, რომ ტურნირის ის ნაწილი, რომელიც ღია ცის ქვეშ, ყინულზე მიმდინარეობდა, მაინც განვლეთ და ფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეთ?**

— მინიფეხბურთი ისეთი თამაშია, რომელსაც უნდა მოერგო. ამიტომ არავის უკვირს, როცა „დიდი ფეხბურთის" ოსტატები აქ მაინცდამაინც არ ბრწყინავენ. წინასწარ შეხვედრებში, მართალია, იგი ჩვენთვის უჩვეულო რთულ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც გამოგვადგა ის, რომ ყველანი ქუჩის ფეხბურთთან ნაზიარები ვიყავით.

აქვე უნდა ითქვას წინასწარი ტურნირის ხარვეზებზეც. დღეში ორ



ზაზა გომართელი საპატიო პრიზით ხელში.

თამაშს ვტარებდით, სულ რაღაც ერთი საათის შუალედით. ეს ძალზე მცირე დროა ენერგიის აღსადგენად. გასახდელიდან არ გამოვდიოდით, გაოფლიანებულნი ველოდით ხელმეორედ მინდორზე გასვლის ჯერს.

● **რით აიხსნება მოპოვებული წარმატება?**

— რა თქმა უნდა, იმ პირობებში ყველა შედრკებოდა, მაგრამ თუმცა არ მინდა გუნდიდან ვინმეს გამოყოფა, ლიდერები მაინც გამოიკვეთნენ, რომლებმაც აიყოლიეს ახალგაზრდობა და თავდაუზოგავი ბრძოლისათვის განაწყეს პირადი მაგალითით. განსაკუთრებით მისაბაძი იყო მეკარეების გია ზარიძისა და ლევან მაყაშვილის თავდადება. მათ თავიანთ შესაძლებლობაზე მეტი გააკეთეს. განსაკუთრებით იმ თამაშებში, რომლებიც ღია სარბიელზე ჩავატარეთ.

● **უშუალოდ ფინალზე რას იტყვით?**

— მეოთხედფინალური მატჩების შემდეგ 3 გუნდს — ჩვენ, ალმაათისა და ოდესისას ერთნაირი ქულები და ბურთების შეფარდება აღმოგვაჩნდა. ნახევარფინალში კი ჩვენ გავედით, რადგან „ვერა" უფრო დისციპლინიანი გუნდი აღმოჩნდა — კონკურენტებს გაფრთხილება და მოედნიდან გაძევებაც ჰქონდათ.



ფინალურ მატჩში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ნიკო დოლიძემ.

ნახევარფინალში ლენინგრადის „დრაკონთან" ნ. დოლიძემ გვიხსნა მარცხისაგან. თამაშს ვაგებდით მინიმალური ანგარიშით — 0:1. ნიკუშამ გაქვითა გოლი და შემდეგ პენალტების სერიის უკეთ შესრულების წყალობით გავედით ფინალში. დასკვნითი მატჩის გმირი გახლდათ ისევ ნ. დოლიძე, რომელიც თამაშის დამთავრებამდე 35 წამით (!) ადრე ოჩერაშვილის მიერ ჩაწოდებულ ბურთს დაეუფლა და „ჩელიაბინეცის" ბადეში გაახვია იგი.

ეს უკვე გამარჯვება იყო!

# საინტერესო მატჩი ქუთაისში

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე 15 მარტს გაიმართა მეტად საინტერესო მატჩი თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა შორის. თამაშს პასუხი უნდა გაეცა იმ მთავარ კითხვაზე, თუ როგორ მოემზადნენ ტორპედოელები მეორე ლიგის გათამაშებისთვის, ხოლო დინამოელები კი პირველი გასვლითი მატჩებისთვის.

ცივი, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია და გულშემატკივართა იმედიც გაამართლა.

მატჩი საკმაოდ სწრაფად დაიწყო, უკვე მე-15 წუთზე ქუთაისელმა ე. თევზაძემ ოსტატური დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა. სამიოდე წუთის შემდეგ დინამოელი ფანცულაია მაღალ ნახტომში მიწვდა საჯარიმოდან ჩამოწოდებულ ბურთს და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. 24-ე წუთზე შესანიშნავად ითამაშა მესხმა: იგი დრიბლინგით გასცდა მასპინძელთა ოთხ მცველს და ზუსტი გადაცემით ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა გუბაზი — 2:1. სამივე ბურთი პირველი ტაიმის ამ მცირე მონაკვეთში გავიდა, მაგრამ დაძაბულობა შეხვედრის ბოლომდე არ დამცხრალა. ორივე გუნდის მოთამაშეები ხშირად უტევდნენ და მატჩიც ამ ანგარიშით დამთავრდა.

თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა გ. ზონინმა განაცხადა: „ქუთაისელთა დღევანდელი თამაში მომეწონა. ლესელიძეში შეკრების შემდეგ, გუნდს სასიკეთო ცვლილება დასტყობია, ფეხბურთელები მეტს მოძრაობენ, აზრიანადაც თამაშობენ, მათ შორის აღვნიშნავ მეგრელაძეს, ვასილ შენგელიას, მერაბ თევზაძეს. ურიგოდ არ უთამაშიათ კიკლიაშვილს და ენუქი თევზაძეს. ერთი სიტყვით, „ტორპედოს" ჰყავს ფეხბურთელები, რომელთა იმედი შეიძლება ჰქონდეთ მწვრთნელებს. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ ფეხბურთელებმა მეტი უნდა იმოძრაონ, დიდი ყურადღება მართებთ მცველებს, შეტევის ორგანიზაციისას კი მეტი ფანტაზია და ორიგინალობაა საჭირო. ეს ჩემი მეგობრული შენიშვნებია. სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ არის დრო, იმედია, ხარვეზები გამოსწორდება, „ტორპედო" უკეთ ათამაშდება და შედეგიც სასურველი იქნება. რაც შეეხება დინამოელებს, მართალია, მათ თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშეს, მაგრამ მომავალ გასვლით ორ მატჩს იმედით ვუყურებთ".

(ფეხბურთის გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ ინტერვიუს ქუთაისის „ტორპედოს" უფროს მწვრთნელთან რევაზ ძოძუაშვილთან შემოგთავაზებთ „ლელოს" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში).

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„დინამო"** — გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჩედია, გუბაზი, ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე, ჯიშკარიანი, შენგელია, მესხი; **„ტორპედო"** — ჩხეიძე, პაპავა, გ. თევზაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, შენგელია, კიკლიაშვილი, ბზიკაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, ხარაბაძე (დარასელია).

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).**

## უმაღლესი ლიგა

გუშინ ლენინგრადში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 13 მარტიდან გადმოტანილი II ტურის მატჩი. ადგილობრივმა „ზენიტმა" მიიღო ბაქოს „ნეფთჩი". თამაში დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 2:0.

## არჩევანი თვით ოლეგ ბლოხინზეა

„სოვეტსკი სპორტმა" 16 მარტს გამოაქვეყნა წერილი კიევის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელის ოლეგ ბლოხინის შესახებ. გულშემატკივრებს აინტერესებთ მართალია თუ არა, რომ ამ ფეხბურთელს ეპატიჟება ავსტრიის კლუბი „ფორვერტსი".

ხმები იმის თაობაზე, რომ ავსტრიის „ფორვერტსს", რომელიც თავისი ქვეყნის საფეხბურთო გათამაშების მეორე დივიზიონში გამოდის, სურდა თავის რიგებში მიეწვია ო. ბლოხინი, მართალია. თვით ო. ბლოხინსაც სურდა „ფორვერტსში" გადასვლა, მაგრამ გამოჩნდა ხელშემშლელი პირობები. ო. ბლოხინი სამხედრო სამსახურში იმყოფება, გარდა ამისა, კიევის „დინამოს" იგი წლევანდელ განაცხადშიც ჰყავს. უახლოეს ხანში გაირკვევა, კვლავ ითამაშებს ო. ბლოხინი, თუ მწვრთნელის სამუშაოზე გადავა. მას შესთავაზეს სპორტსაზოგადოება „დინამოს" უკრაინის საბჭოს მთავარი მწვრთნელის პოსტი, კიევის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობის ხელმძღვანელობა ან სტაჟირება სხვა რომელიმე ცნობილ კლუბში. ო. ბლოხინმა საკუთრივ უნდა გადაწყვიტოს თავისი შემდგომი მოღვაწეობის საკითხი.

## ახალგაზრდათა კონკურსი

ჟურნალმა „სპორტივნიე იგრიმ" მოაწყო კონკურსი, რომლის მიზანია გამოავლინოს უმაღლესი ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელები 1987 წლის შედეგების მიხედვით. კონკურსში მონაწილეობდნენ მწვრთნელები და ჟურნალისტები.

კონკურსის შედეგად პირველ ადგილზე გავიდა მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი ალექსანდრე მოსტოვოი, მეორე ადგილზეა მოსკოვის „ტორპედოს" ნახევარმცველი ოლეგ შირინბეკოვი, ხოლო მესამეზე — მინსკის „დინამოს" ნახევარმცველი სერგეი დერკაჩი.

# ფრე, მაგრამ გამარჯვება შეიძლებოდა

(დასასრული)

ძველ მეტოქეთა შეხვედრა წლეულსაც უკომპრომისო ბრძოლით აღინიშნა.

პირველ წრეში მათ ფრედ, 7:7, დაამთავრეს შეხვედრა. ასეთივე ანგარიში აღინიშნა დინამოელთა და უნივერსიტეტელთა გუშინწინდელ შეხვედრაშიც.

საინტერესოა, რომ როცა თამაშის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა და ანგარიში 6:6 იყო, ამ დროს იერიშზე მასპინძლები იყვნენ და ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის პოპოვმა თქვა, თუ ახლა თბილისელები ბურთს გაიტანენ, ამას მოსკოველებიც შეძლებენ, მაგრამ მასპინძლები მაინც გაიმარჯვებენო. მართლაც, თბილისელებმა ის იერიში წარმატებით დააგვირგვინეს და მოსკოველებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს. პოპოვის ვარაუდით, თბილისელებს კიდევ ერთხელ უნდა აეღოთ მეტოქის კარი, თამაშის მიწურულს ქართველი წყალბურთელები იერიშზე გადავიდნენ. მათ ბურთის გასატანად საკმაო დრო ჰქონდათ, რიცხობრივი უპირატესობაც დინამოელთა მხარეს იყო, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

არადა, თბილისელებს, როგორც ნახეთ, გამარჯვების მოპოვება შეეძლოთ. ამის თქმის საფუძველს მხოლოდ შეხვედრის მიწურულს თბილისელთა სასარგებლოდ შექმნილი სიტუაცია როდი იძლევა. მართალია, სარბიელზე, ერთი შეხედვით, თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული, მაგრამ მასპინძლები შეხვედრას მაინც თავიანთი ნებასურვილით წარმართავდნენ. მათ თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ: თბილისელებმა (მაჭავარიანმა და გიორგაძემ) ოთხივე პერიოდის დასაწყისში ბურთის ხელში ჩაგდება შეძლეს და ამ მხრივ მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს, მასპინძლები ჩინებულად თამაშობდნენ დაცვაში, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, როცა მოსკოველებს ოთხჯერ, ეგრეთწოდებული, ზედმეტი მოთამაშე აღმოაჩნდათ, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს; დინამოელები უფრო ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ მათი ნასროლი ბურთი არც თუ ისე იშვიათად ან ძელს ხვდებოდა, ან მიზანს ცდებოდა, ან კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ შარაფეევისთვის მისი დაუფლება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, ამ ფრედ დამთავრებული შეხვედრით მოსკოველები უფრო უნდა იყვნენ კმაყოფილნი, ვიდრე თბილისელები.

იმედია, მომდევნო შეხვედრებში თბილისელები უკეთ დაასრულებენ იერიშებს და მეტოქის შეცდომებსაც გაცილებით კარგად გამოიყენებენ.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ბალათურიამ, კუტივაძემ (2-2), ზუმბულიძემ, კანდელაკმა, რამიშვილმა, ხოლო მოსკოველთაგან — იანკოვმა, როსლიაკოვმა (3-3), ზაიონცმა.

**ძერჟინსკში** მოასპარეზე გუნდებმა პირველი დღის შეხვედრები ასე დაამთავრეს: კკფ (ბაქო) — კჩფ (სევასტოპოლი) — 8:8, ცსკ ვმფ — „დინამო" (კიევი) 10:6, ასკ (მინსკი)—„დინამო" (ალმა-ათა) — 7:12.

პირველი დღის შეხვედრების შემდეგ დაწინაურდა ცსკ ვმფ, რომელსაც 21 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან: „დინამო" (მოსკოვი) — 20, „დინამო" (ალმა-ათა), „დინამო" (ლვოვი) — 18-18, „უნივერსიტეტი" — 15, „დინამო" (თბილისი) — 13, „დინამო" (კიევი), კკფ — 10-10, „ლოკომოტივი", „მოსკვიჩი" — 6-6, კჩფ — 4, ასკ — 3.

თბილისში გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი)—7:8, „უნივერსიტეტი" — „მოსკვიჩი" (მოსკოვი) 10:9, „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 7:6.

**ავთანდილ ზურაბაშვილი.**

## საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი მატჩების შედეგები „ლელოს" ერთერთ წინა ნომერში უკვე გამოვაქვეყნეთ. ახლა უფრო დეტალურად გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.**

**12 მარტი. „უნივერსიტეტი" (თბილისი) — გორი 95:88 (51:41).**

**უნივერსიტეტი:** ბარადაჩოვი (28), ტალაბაძე (13), ქურდოვანიძე (12), რევაზიშვილი (11), ტურაშვილი (11), კვინიკაძე (6), ონიანი (5), აბულაშვილი (5), ახვლედიანი (2), ხუხაშვილი (2).

**გორი:** ღლონტი (30), თორთლაძე (28), ცაგარეიშვილი (14), ქამუშაძე (12), სხიერელი (4).

**13 მარტი. „უნივერსიტეტი" (თბილისი) — გორი 99:82 (52:49).**

**უნივერსიტეტი:** ქურდოვანიძე (20), ახვლედიანი (19), კვინიკაძე (10), ხუხაშვილი (8), ჯაფარიძე (8), ტალაბაძე (7), ბარადაჩოვი (7), რევაზიშვილი (6), ტურაშვილი (5), შარაშენიძე (5), აბულაშვილი (2), დვალი (2).

**გორი:** ცაგარეიშვილი (23), ქამუშაძე (21), თორთლაძე (8), ღლონტი (8), კორძაია (7), სხიერელი (6), ალაშვილი (5), ჩხეტიანი (4).

**12 მარტი. სპი (თბილისი) — რუსთავი 103:72 (55:41).**

**სპი:** გიორგობიანი (21), გეგეშიძე (20), ორმოცაძე (13), გაბრიჩიძე (12), ცაგარეიშვილი (10), დაუშვილი (7), ბუაძე (5), ვაშაკიძე (5), კოტრიკაძე (4), ცხვედიანი (4), პეტრიაშვილი (2).

**რუსთავი:** ჭანტურიძე (16), ქობულაძე (16), კეჭაყმაძე (12), აბაშიძე (8), მებურიშვილი (5), ბარამიძე (4), პაპუაშვილი (4), კიკვიძე (3), მიქიაშვილი (2), ჩუტლაშვილი (2).

**13 მარტი. სპი (თბილისი) — რუსთავი 143:99 (58:37).**

**სპი:** გიორგობიანი (31), გეგეშიძე (21), ცაგარეიშვილი (17), ორმოცაძე (14), ცხვედიანი (10), კოტრიკაძე (6), პეტრიაშვილი (6), დაუშვილი (6), ვაშაკიძე (2).

**რუსთავი:** ჭანტურიძე (27), კეჭაყმაძე (23), ქობულაძე (13), ხაიაური (12), მებურიშვილი (7), ბარამიძე (6), მიქიაშვილი (6), აბზიანიძე (5).

**12 მარტი. ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 80:104 (39:54).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (26), შერვაშიძე (16), დიხამიძე (11), ბარამიძე (7), ინაიშვილი (7), ქლენტი (6), ბალათურია (3), მეტრეველი (2), გ. ემირიძე (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ჩერქეზიშვილი (25), უძილაური (19), კობეშავიძე (16), ლიპარტელიანი (10), ფერიაშვილი (9), მოველიძე (6), მაისურაძე (5), ტომარაძე (4), დადიანი (4), დათიკაშვილი (3), ჩაჩანიძე (3).

**13 მარტი. ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 68:105 (31:54).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (21), შერვაშიძე (14), დიხამიძე (12), ინაიშვილი (9), გ. ემირიძე (8), ქლენტი (2), დუმბაძე (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (16), მოველიძე (15), ჩერქეზიშვილი (14), დადიანი (14), კობეშავიძე (12), ტომარაძე (10), ფერიაშვილი (9), მაისურაძე (9), უძილაური (3), ხომერიკი (3).

**12 მარტი. „დინამო" (თბილისი) — ქუთაისი 86:116 (43:59).**

**„დინამო":** კოკოლიშვილი (28), გრძელიშვილი (15), ისაშვილი (15), ქორფაშვილი (8), მაჭავარიანი (6), ამაშუკელი (6), ცისკარიშვილი (4), ჭაბუკიანი (2), ნიკურაძე (2).

**ქუთაისი:** გოგსაძე (39), ვაშაკიძე (20), აფრიდონიძე (16), ხაბულიანი (11), გუბელაძე (10), ხუჯაძე (9), ბუაძე (4), თუთბერიძე (4), კანდელაკი (3).

**13 მარტი. „დინამო" (თბილისი) — ქუთაისი 85:109 (45:57).**

**„დინამო":** ცისკარიშვილი (23), კოკოლიშვილი (15), ქორფაშვილი (14), გრძელიშვილი (8), კუტიბაშვილი (8), მაჭავარიანი (6), სამნიაშვილი (5), ამაშუკელი (4), წურწუმია (2).

**ქუთაისი:** გოგსაძე (32), აფრიდონიძე (18), ვაშაკიძე (16), ხუჯაძე (15), დარსაძე (8), ხაბულიანი (8), კირთაძე (6), კანდელაკი (4), ბუაძე (2).

**12 მარტი. თელავი — „სინათლე" (თბილისი) 86:128 (70:39).**

**თელავი:** ვარდიაშვილი (24), შიროკოვი (20), მჭედლური (14), მესტვირიშვილი (8), აიდინოვი (7), არჩევანიძე (7), ბრაგვაძე (4), წიქარიშვილი (2).

**„სინათლე":** ღონღაძე (33), გურასპაული (26), ძიძიგური (16), სინჯარაძე (12), ქორქია (12), რ. ჩაჩხიანი (10), პ. ჩაჩხიანი (8), ლეონტიევი (8), მეცხოვრიშვილი (3).

**13 მარტი. თელავი — „სინათლე" (თბილისი) 81:102 (33:49).**

**თელავი:** მესტვირიშვილი (31), ვარდიაშვილი (24), შიროკოვი (9), მჭედლური (6), ბრაგვაძე (6), ამონაშვილი (5).

**„სინათლე":** ღონღაძე (25), პ. ჩაჩხიანი (21), ძიძიგური (17), გურასპაული (15), სინჯარაძე (14), ქორქია (9), ლეონტიევი (1).

**12 მარტი. სოხუმი — „მართვე" (თბილისი) 95:85 (41:41).**

**სოხუმი:** ბალათურია (25), სუშჩენკო (21), ჭითავა (19), სულავა (19), პირველი (7), ჩუბინიძე (4).

**„მართვე":** შენგელია 38), ვაშაკიძე (19), ხელაშვილი (14), ნიკურაძე (10), გვარამია (2), ბოლქვაძე (2).

**13 მარტი. სოხუმი — „მართვე" (თბილისი) 99:92 (46:44).**

**სოხუმი:** ბალათურია (24), ჯგერენაია (22), ჩუბინიძე (17), სულავა (12), პირველი (10), სუშჩენკო (8), ჭითავა (6).

**„მართვე":** შენგელია (29), ვაშაკიძე (20), ხელაშვილი (20), კვეზერელი (13), ბოლქვაძე (10).

# სარბიელზე ნორჩებიც გამოდიან

**ამ** სიახლეს აქვს დიდი მნიშვნელობა. ადრე 1973-1974 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა პირველობა დამოუკიდებელი შეჯიბრების სახით ტარდებოდა და გუნდებს, ფაქტიურად, წელიწადში 4-5 შეხვედრის ჩატარება უხდებოდათ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ჭაბუკები, დიდების გუნდების მსგავსად, მიმოსვლით ასპარეზობენ. ერთბაშად გაიზარდა ხალისი, ინტერესი. ნორჩები შაბათ-კვირის დადგომას მოუთმენლად ელოდებიან, რათა თავიანთი შესაძლებლობები ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე დაამტკიცონ.

ერთი სიტყვით, ჭაბუკთა პარალელურმა მატჩებმა რესპუბლიკურ ჩემპიონატს ერთი-ორად გაუზარდა ავტორიტეტი, მეტი შნო და ლაზათი შესძინა. გაიმართა ამ ტურნირის პირველი შეხვედრები, რომლის შედეგებსაც გთავაზობთ.

**პირველი ჯგუფი.** უნივერსიტეტი (თბილისი) — გორი 75:54 (41:23) და 51:62 (27:34); ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 50:24 (21:10) და 70:49 (34:23); „დინამო" (თბილისი) — ქუთაისი 96:76 (46:36) და 85:63 (42:33).

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 2 | 2 | 0 | 120-73 | 4 |
| „დინამო" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 181-139 | 4 |
| უნივერსიტ. (თბ.) | 2 | 1 | 1 | 126-116 | 3 |
| გორი | 2 | 1 | 1 | 116-126 | 3 |
| ქუთაისი | 2 | 0 | 2 | 139-181 | 2 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 2 | 0 | 2 | 73-120 | 2 |

**მეორე ჯგუფი.** სოხუმი — „მართვე" (თბილისი) 44:81 (20:44) და 26:99 (17:56); პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — რუსთავი 104:68 (59:36) და 73:62 (40:32); თელავი — „სინათლე" (თბილისი) 61:51 (26:26) და 83:74 (46:27).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „მართვე" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 180-70 | 4 |
| სპი (თბ.) | 2 | 2 | 0 | 177-130 | 4 |
| თელავი | 2 | 2 | 0 | 144-125 | 4 |
| „სინათლე" (თბ.) | 2 | 0 | 2 | 125 144 | 2 |
| რუსთავი | 2 | 0 | 2 | 130-177 | 2 |
| სოხუმი | 2 | 0 | 2 | 70-180 | 2 |

რეპლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესო დარბაზში არ ათამაშეს

**მარტო ჩვენი სურვილი არ არის, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის ყოველი კალენდარული მატჩი კალათბურთის ჭეშმარიტ ზეიმად იქცეს. ამის შესახებ თავის დროზე საქმიანი საუბარი იყო რესპუბლიკის სპორტსახკომში, პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ამას ისახავს მიზნად ის სიახლე, რაც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შემოგვთავაზეს — დიდებთან ერთად ტურნირში ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობა. ერთი სიტყვით, ყველა მომხრეა იმისა, რომ საქართველოს პირველობა კალათბურთში ლამაზი და დასამახსოვრებელი სანახაობა გახდეს.**

**ლამაზ სანახაობას კი შესაბამისი ანტურაჟი სჭირდება, პირველ რიგში კი კეთილმოწყობილი და ნორმალური ბაზა, რათა ზეიმის მნიშვნელობა სპორტსმენებმაც ჯეროვნად შეაფასონ და თამაშის სანახავად მოსულმა მაყურებლებმაც. ამაზე პასუხისმგებლობა, პირველ ყოვლისა, იმ სპორტკომიტეტებს ეკისრებათ, რომლებიც კონკრეტულ შეხვედრებს მასპინძლობენ.**

**სოხუმში ჩემპიონატის ორი სასტარტო მატჩი უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ჩატარდა. მაყურებლები ბლომად მოვიდნენ თავიანთი გუნდის საქომაგოდ, მაგრამ დარბაზში არ იყო ტაბლო, არ იყო წესრიგი და ამან ერთგვარი ჩრდილი მიაყენა ადგილობრივი გუნდისა და „მართვეს" თამაშს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის დედაქალაქს არა აქვს სხვა უკეთესი სათამაშო დარბაზი. მაშინ მხოლოდ იმაზე გვექნებოდა საუბარი, რომ ორგანიზატორებს წესრიგის დამყარებაზე უნდა ეზრუნათ. მაგრამ ამ დარბაზის გვერდით სპორტსკოლის შესანიშნავი ბაზაა (ტაბლოთი და მაყურებლებისაგან იზოლირებული მოედნით), სადაც, სხვათა შორის, ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა მოეწყო. ბავშვებისადმი ასეთი პატივისცემა დასაფასებელიც არის და მოსაწონიც, მაგრამ ხომ შეიძლება იმავე დარბაზში დიდებსაც ეთამაშათ? მაშინ, რა თქმა უნდა, არც უწესრიგობა იქნებოდა და არც ამ რეპლიკის დაწერა გახდებოდა სავალდებულო.**

**გაკვირვება გამოიწვია სოხუმის სპორტკომიტეტის პოზიციამ, რომელიც პირველ რიგში აგებს პასუხს ჩემპიონატის მატჩების ნორმალურ ჩატარებაზე. რამ განაპირობა მოზრდილთა გუნდებისადმი ასეთი უპატივცემულობა? რატომ არ ათამაშეს გუნდები ქალაქის საუკეთესო სპორტდარბაზში?**

**საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემენ ამ კითხვებზე სპორტის სოხუმელი მესვეურები.**

# ერთპიროვნულად ლიდერობენ

**მოჭადრაკე** ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ 6 ტური რჩება და ბუნებრივია, ყოველი ნათამაშევი პარტია დიდ ინტერესს იწვევს.

XI ტურში საინტერესო გამოდგა ალა ჩაიკოვსკაიასა და ციალა ქასოშვილის შეხვედრა. მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს დებიუტი. შავებმა ცენტრი გაარღვიეს, შემდეგ კი ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგეს. ჩაიკოვსკაია თავგამოდებით იცავდა თავს და შეეცადა კონტრთამაში მიეღო, მაგრამ ქასოშვილი ზუსტად თამაშობდა. გაცვალა ფიგურები და პარტია გადავიდა ლაზიერებისა და თითო ეტლის დაბოლოებაში, სადაც შავებს ზედმეტი პაიკი დარჩათ. ქასოშვილმა შემდეგ კიდევ ორი პაიკი მოიგო და არ გასჭირვებია პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

გაიმარჯვა მეორე ლიდერმა ქეთევან კახიანმაც. მან ამჯერად ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა დაამარცხა. თეთრები დებიუტშივე ინიციატივას დაეუფლნენ. ბრძოლა ძირითადად ლაზიერის ფრთაზე მიმდინარეობდა. კახიანმა გახსნა ლაზიერის ფრთის ვერტიკალი და მეტოქის ბანაკში შეიჭრა. მართალია, შავებმა ორი კუს უპირატესობა მიიღეს, მაგრამ თეთრების მხედარმა ძლიერი b6 პუნქტი დაიკავა და ფახიროვას პოზიცია შებოჭილი აღმოჩნდა. ბოლოს კი ტაქტიკური კომბინაციით აიძულა იგი დანებებოდა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: კემულარია-ნ. მელაშვილი — 0:1, კახაბრიშვილი-ხუგაშვილი — 1:0, ხუციშვილი-სადუნიშვილი — 1:0, ნიკოლაძე-ქ. მელაშვილი — 1:0, ტერელაძე-ხარლამიდი — 0,5:0,5. ხურციძე-მესხი — 0,5:0,5, გელავა-თვაური — 0.5:0,5.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ 8,5-8,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ ციალა ქასოშვილი (გორი) და ქეთევან კახიანი (გარდაბანი), შემდეგ მოდიან ეკატერინე ფახიროვა, თამილა მესხი (ორივე — ქუთაისი), ნინო მელაშვილი, ქეთევან მელაშვილი, იამზე თვაური (ყველა — თბილისი) — 6,5-6,5, სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), ციცინო კახაბრიშვილი თბილისი) — 6-6.

**ვასილ ვაშაკიძე.**

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ბივერ-კრიკი (აშშ).** სუპერგიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა ფრანკ პიკარმა მოიგო — 1.45,97.

**როსლანდი (კანადა).** აქ გაიმართა ქალთა ანალოგიური შეჯიბრება, რომელშიც ყველას აჯობა შვეიცარიელმა მიქელა ფიჯინიმ — 1.16,43.

**ბეილი. (აშშ).** ცნობილი ამერიკელი სამთომოთხილამურე, 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სწრაფდაშვებაში ბილ ჯონსონი თავსანებებს სპორტს. ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ მან ვერაფრით ვერ აღიდგინა ფორმა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო.

**ინცელი (გფრ).** დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება ვაჟთა ციგურაობაში, საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა უვე-იენს მაიმ, მეორე ადგილზე კი ამერიკელი დენ ჯენსენი გავიდა.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 17 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. „დინამო" (მინსკი) — „მეხელენი" (ბელგია). მეორე ტაიმი — **9.35 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2)**.

**18 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 17 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ლვოვი) — **23.20**.

**18 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო" (თბილისი) — „მოსკვიჩი" — **23.55**.

IX

**რედაქტორი**
**თ. ბაჩელაძე.**

ინდექსი 66225. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05246